



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
გრაფიკული დიზაინი, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი
16.10.2024

თბილისი

Contents

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	16
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	23
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	25
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	31

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ხარაზიშვილი - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლეილა გრიგოლია - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	გრაფიკული დიზაინი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Graphic Design
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში Bachelor of Fine Arts in Graphic Design
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, N762197, 21/06/2022
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გრაფიკული დიზაინი შეფასდა. აკრედიტაციის საბჭომ სასწავლო დაწესებულებას რეკომენდაციებისა და რჩევების სახით განუსაზღვრა პროგრამის, 1.1, 1.2, 2.2, 2.3, 2.5 და 4.1 სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მონიტორინგისთვის წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოირკვა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები სასწავლო დაწესებულებამ სრულიად გაითვალისწინა. გეგმიური მონიტორინგისთვის მომზადებისას, უნივერსიტეტმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსში. პროგრამის მიხედვით, განხორციელდა პროგრამის მიზნების ხელახალი შეფასება და სწავლის შედეგების დაზუსტება, განახლდა სილაბუსები ახალი ლიტერატურისა და სწავლების ახალი მეთოდების გამოყენებით, შეიცვალა აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში აღწერილია კომპონენტის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. ყოველივე ეს კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს საჭირო ინფორმაციას და ლოგიკურად ებმის ერთმანეთს.

▪ რეკომენდაციები

• კომპონენტი: 1.1

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და საფეხურის გათვალისწინებით, რათა მიზნები იყოს რეალისტური და მიღწევადი.
- რეკომენდებულია პროგრამის მიზნები ითვალისწინებეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა (პროფილური კომპანიების, კრეატიული სააგენტოების, დიზაინ სტუდიების ჩართულობა) და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს.

• კომპონენტი: 1.2

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, რათა სრულად შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკაციას და მოიცავდეს დარგისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კურიკულუმის რუკაში სწავლის შედეგებსა და ძირითად სასწავლო კურსებს შორის განისაზღვროს ლოგიკური კავშირი.

• კომპონენტი: 2.2

- რეკომენდებულია, ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისად, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად დაემატოს და გაძლიერდეს მსოფლიო ხელოვნების და თანამედროვე ხელოვნების საკითხების ამსახველი სასწავლო კურსები.

• კომპონენტი: 2.3

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს კურსის შესაბამისი მიზანი, სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები შინაარსის შესაბამისად.
- რეკომენდებულია, სილაბუსების შინაარსი გადაიხედოს, გაძლიერდეს, შესაბამებოდეს უმაღლესი განათლების მე-6 დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს.
- რეკომენდებულია, დარგის და საგნის შინაარსის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურის, თუნდაც ონლაინ მასალების/რესურსების გამოყენება.
- **კომპონენტი: 2.5**
- გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსებში რუბრიკა „სწავლა-სწავლების“ მეთოდები და მათი შერჩევა მოხდეს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.
- **კომპონენტი 4.1**
- რეკომენდებულია, პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, დარგობრივი აკადემიური/მოწვეული პერსონალის გაძლიერება დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებით

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

▪ კომპონენტი: 1.1

- სასურველია, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზნების ნაწილში აისახოს შემოქმედებითი პროექტების, გამოფენების და სხვა აქტივობების ფარგლებში ცოდნის, უნარების და კომპეტენციების წარმოჩენა და განმტკიცება.
- სასურველია, პროფილური კომპანიების, კრეატიული სააგენტოების, დიზაინსტუდიების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ არამხოლოდ პროგრამის შემუშავებაში, არამედ მის შემდგომ განვითარებაში.

▪ კომპონენტი: 1.2

- სწავლის შედეგების მისაღწევად სასურველია საბაკალავრო პროგრამაში სტაჟირების კომპონენტის არსებობა, რითიც ხდება მიღებული ცოდნის განმტკიცება, განვითარება და სტუდენტის რეალურ სამუშაო გარემოში ადაპტაცია, გუნდში მუშაობის უნარების განვითარება. ამისათვის მნიშვნელოვანია პროგრამას ჰქონდეს პროფილური მემორანდუმები, აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამისად.
- დასკვნით სადიპლო მოპროექტის სილაბუსში ჩამოყალიბდეს პროექტის აღწერა, ან შეიქმნას თანდართული დოკუმენტი/გაიდლაინი, გამოყენებული იყოს დარგის შესაბამისი ტერმინოლოგია.

▪ კომპონენტი: 2.1

- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს ტრანსპარანტული, საჯარო და ხელმისაწვდომი, აპლიკანტის შემოქმედებითი უნარების გამოვლენაზე ორიენტირებული, კერძოდ, განისაზღვროს „შემოქმედებითი ტურის“ ჩატარების პროცედურები, კომისიის შერჩევის პრინციპი და კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები. აღწერა იყოს დეტალური და არა ბუნდოვანი.

▪ კომპონენტი: 2.2

- სასურველია, „ფოტოგრაფიას“, როგორც ვიზუალური აზროვნებისთვის უმნიშვნელოვანეს კურსს და „სამომხმარებლო ინტერფეისს“, როგორც ვებ და აპლიკაციის დიზაინსთვის მნიშვნელოვან მხარდაჭრას, შეეცვალოს სტატუსი არჩევითიდან ძირითადზე;
- სასურველია, მოხდეს რიგი სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილება სავალდებულოდან არჩევითზე. უმჯობესია, ხაზვა, ინტერიერის დიზაინი, CAD პროგრამებთან ერთად ქმნიდეს არჩევით მოდულს გრაფიკული დიზაინერისთვის დამატებითი ცოდნისა და უნარების შესაძენად. ასევე, cinema 4D III და IV, პერსონაჟის ანიმირებას შესაძლებელია მიენიჭოს

არჩევითი საგნების სტატუსი და სტუდენტს, ინტერესის შემთხვევაში, საშუალება ექნება, გაიღმავოს ცოდნა ანიმაციის მიმართულებით.

- სასურველია პროგრამას დაემატოს და გაძლიერდეს გრაფიკული დიზაინისთვის მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა მარკეტინგის საფუძვლები, ბრენდინგი, ლოგოს დიზაინი და აიდენტიკა, შეფუთვის დიზაინი, ტიპოგრაფია, UI/UX design, პრეზენტაციის და კომუნიკაციის უნარები, პორტფოლიოს ორგანიზება და ა.შ. საგანი „კომპოზიცია“ კორექტირდეს კონკრეტულად გრაფიკული დიზაინისთვის.

- სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმაში გადაიხედოს და შესწორდეს კურსების პრერეკვიზიტები

▪ კომპონენტი: 2.3

- სასურველია, სილაბუსებში ყურადღება ექცეოდეს დარგის შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებას;

- სასურველია გადაიხედოს კურიკულუმში ცალკეული სასწავლო კურსების შესაბამისობის საკითხი საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში (მაგალითად „ხაზვა“, „ინტერიერის დიზაინი“).

▪ კომპონენტი: 2.4

- სასურველია, დაბალანსდეს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შემუშავებული სასწავლო კურსების თანაფარდობა საგანმანათლებლო პროგრამაში;

- სასურველია, პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ განხორციელდეს სტაჟირების განხორციელების ობიექტების მიზანმიმართული შერჩევა; სასურველია, დარგობრივი კომპეტენციების სრულყოფის მიზნით გაძლიერდეს კურიკულუმში შესაბამისი სასწავლო კურსებით (მსოფლიო და თანამედროვე ხელოვნება, დარგობრივი საგნები).

▪ კომპონენტი: 2.6

- სასურველია, საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვროს დავალების ფორმატი (ტექნიკური ან შემოქმედებითი) და ასევე გონივრული დრო დავალების შესრულებისთვის;

- სასურველია, სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალი უკეთ იყოს გაცნობიერებული საკუთარი სასწავლო კურსის სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიასა და სპეციფიკაში.

▪ კომპონენტი: 3.1

- სასურველია სტუდენტური პროექტების ხელშეწყობისა და დაფინანსების პროგრამების გაძლიერება;

- სასურველია სტუდენტებისა და ხარისხის განვითარების სამსახურის კოორდინირებული მუშაობა;

- სასურველია დარგზე ორიენტირებული პრაქტიკის ობიექტების მოძიება.

▪ კომპონენტი: 4.1

- სასურველია, პროგრამამ შემდგომ ეტაპზე, განვითარების პროცესში შეაფასოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული შემოქმედებითი პროექტები;

- სასურველია, პროგრამის პორტფოლიოს დანართები შესაბამისობაში იყოს თვითშეფასების ანგარიშთან და საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასთან.

▪ კომპონენტი: 4.3

- სასურველია საბიბლიოთეკო რესურსების გრაფიკული დიზაინის პროფესიული ლიტერატურით გამდიდრება.

▪ კომპონენტი: 4.4

- სასურველია, პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას სტუდენტური შემოქმედებითი პროექტების, გამოფენების და სხვა შემოქმედებითი აქტივობების ხარჯი;

- სასურველია, მეტი სიცხადისა და გამჭვირვალობისთვის, ბიუჯეტი გაიწეროს დეტალურად.

▪ კომპონენტი: 5.1

- სასურველია ხარისხის მარეგულირებელ დოკუმენტში წინ წამოიწიოს პროგრამის ინიცირებისა და შემუშავების პროცესში აკადემიური პერსონალის მნიშვნელობამ;
- სასურველია დაწესებულებამ შეფასების პროცესების ამსახველ დოკუმენტებში წარმოადგინოს ანალიზური და სარეკომენდაციო ნაწილიც, რომლის საფუძველზე იგეგმება პროცესების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, რათა შეიქმნას სრულყოფილი წარმოდგენა კვლევების ეფექტურობაზე;
- სასურველია პროგრამის ამუშავების შემდგომ შრომის ბაზრის გადრმავეული კვლევა კონკრეტული წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.
- **კომპონენტი: 5.2**
- სასურველია პროგრამა შეფასებულ იქნას დარგის უცხოელ ექსპერტთა მიერ, მისი შემდგომი განვითარებისთვის და ქართულ შრომით ბაზარზე დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების კურსდამთავრებულთა გუნდის შესაქმნელად.
- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გარე შეფასების მეთოდოლოგიის მეტად გამოყენება.
- **კომპონენტი: 5.3**
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში მიმდინარე პროცესების დაკვირვებისა და ანალიზის მიზნით, ინსტიტუციის ფარგლებში შემუშავდეს მონიტორინგის კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელსაც პერიოდულად დაეცემდებარება ინსტიტუციაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**
- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან, რომლის მიზანია, სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა გრაფიკული დიზაინის მიმართულებით. თეორიული და პრაქტიკული ცოდნით სტუდენტს საშუალება ექნება, მომავალში დაკისრებული სამუშაო ზედმიწევნით ზუსტად შეასრულოს. პროგრამის მიზნების მესამე პუნქტის შესაბამისად - კურსის მიზნებში ვრცლად არის გაწერილი თუ რა მიმართულებით განვითარდება სტუდენტი „(ლოგოტიპი, საფირმო შრიფტი, კორპორატიული სტილი, ფლაიერი, ბროშურა, ბუკლეტი, სარეკლამო პლაკატები), შეფუთვის დიზაინის (სამგანზომილებიანი მოცულობითი ბრენდირების შექმნა, ინსტალაციების აგება, ვებდიზაინის და აპლიკაციების შექმნა, ბაზრის კვლევა, საფასო სეგმენტის გარკვევა, კონკურენტების მიმოხილვა, ეტიკეტის, სასაჩუქრე და ტრანსპორტირების ყუთების დიზაინი და ა.შ.) შექმნა და ციფრული დიზაინის, ფერის მოდელირების, შემოქმედებით ინდუსტრიებში გამოყენება.“ რაც თანამედროვე მოთხოვნილებებთან სრულ შესაბამისობაშია და პასუხობს თანამედროვეობის გამოწვევებს.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და თანამედროვე მოთხოვნილებებთან შესაბამისობაშია. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა.

შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოირკვა, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და საფეხურის გთვალისწინებით პროგრამის მიზნები რელისტურობისა და გაზომვადობისთვის საჭიროებს ნათლად ჩამოყალიბებას. ამისთვის ორგანიზაციას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია, „რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და საფეხურის გათვალისწინებით, რათა მიზნები იყოს რეალისტური და მიღწევადი.“ მოცემული რეკომენდაცია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სრულიად გაიზიარა და რეკომენდაციის შესრულების მიზნით პროგრამაში შეიტანეს შემდეგი ცვლილებები. მიზნებში უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბდა სტუდენტის მომავალი კვალიფიკაცია და გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია.

მიზნების ადეკვატურობა კი შეგვიძლია ნათლად ვნახოთ დამსაქმებლების ჩართულობის დამადასტურებელ ოქმში.

საბჭოს მიერ, ორგანიზაციას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია პროგრამის მიზნები ითვალისწინებდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა (პროფილური კომპანიების, კრეატიული სააგენტოების, დიზაინ სტუდიების ჩართულობა) და საერთაშორისო ბაზრის

ტენდენციებს. აღნიშნული რეკომენდაცია ორგანიზაციამ სრულიად გაიზიარა და 2024 წლის 19 მარტს შედგა კავკასიის უნივერსიტეტის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლასთან დაკრედიტებული სააგენტოებთან ერთად მემორანდუმების გაფორმების ცერემონია. სწორედ ამ სააგენტოების ხელმძღვანელებთან ერთად გადამუშავდა და განხილულ იქნა პროგრამის მიზნების ფორმირება, რასაც როგორც მემორანდუმები ასევე სკოლის ოქმიც მოწმობს. რეკომენდაცია შესრულებულია, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი მემორანდუმები და სკოლის ოქმები. ანგარიშის მიხედვით კურსის მიზნების ფორმირებაში ჩაერთვნენ დამსაქმებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- მემორანდუმები
- სამუშაო ჯგუფის ოქმები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა გრაფიკული დიზაინის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამაში არსებული სასწავლო კომპონენტები უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სასწავლო სფეროს თავისებურებებთან. სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტები იძენენ პროგრამის დასრულების

შემდეგ. გრაფიკული დიზაინის, საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს დარგობრივ კომპეტენციებს. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ისინი იყოფა ცოდნისა და გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილებად.

შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით გამოიკვეთა, რომ გარკვეული სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას. (ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება, ხატვა, კრეატიული აზროვნების ტექნიკა). სწავლის შედეგს უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამების კლასები, რადგან საუბარია აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფაზე. შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, რათა სრულად შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკაციას და მოიცავდეს დარგისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. ორგანიზაციამ სრულიად გაითვალისწინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია, რის შედეგადაც არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის გრაფიკულ დიზაინის პროგრამას ჰყავს ახალი ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი (დარგის სპეციალისტი). პროგრამაზე მოხდა ახალი ლექტორების (დარგის სპეციალისტების) მოწვევა, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი სილაბუსის შედგენაში, არამედ პროგრამის ფორმირებაშიც იყვნენ ჩართულები. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის შედეგებისა და მიზნების გადახედვაში და ფორმირებაში, რასაც ადასტურებს სამუშაო შეხვედრების ოქმები.

შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ორგანიზაციას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კურიკულუმის რუკაში სწავლის შედეგებსა და ძირითად სასწავლო კურსებს შორის განისაზღვროს ლოგიკური კავშირი. აღნიშნული რეკომენდაცია სასწავლო დაწესებულებამ სრულიად გაიზიარა და დარგის სპეციალისტების (ლექტორების) ჩართულობით, მოხდა პროგრამის მიზნების ფორმირება და შედეგების ხელახალი ჩამოყალიბება, სწორედ ამან გამოიწვია შედეგების შეფასების მექანიზმების და სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური ბმის უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ცვლილებების საფუძველზე, რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- სილაბუსები
- სამუშაო ჯგუფის ოქმები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს შეფასების: განმსაზღვრელ და განმავითარებელ მეთოდებს. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით.

განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს რამდენიმე აქტივობას, კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შემუშავებას, რომელიც მოიცავს პროგრამის კონკრეტულ შედეგებს, საშინაო დავალებას, პრეზენტაციას, შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა, ან სხვა საშუალებებს, რომლითაც ხდება შეფასება. შესწავლილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. ეს მექანიზმები შესაბამისი და საკმარისია გრაფიკული დიზაინის პროგრამისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- სილაბუსები
- სამუშაო ჯგუფის ოქმები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ გრაფიკული დიზაინის საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. მათი შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს. საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS- კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამები 180 ECTS კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, სტუდენტის როგორც საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისათვის განკუთვნილი დრო).

პროგრამის სასწავლო კურსების დატვირთვა ისეა გადანაწილებული, რომ სტუდენტი თანდათან იძენს სიღრმისეულ დარგობრივ ცოდნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- სილაბუსები
- სამუშაო ჯგუფის ოქმები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ საბაკალავრო სასწავლო პროგრამის, კურსების სტრუქტურა, წინაპირობები, სწავლების მეთოდები და რესურსები სტუდენტებს ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში. სასწავლო კურსების სილაბუსები შეიცავს: კურსის დასახელებას კურსის ლექტორ(ებ)ს, კოდს, სტატუსს, კრედიტების რაოდენობას, საათების რაოდენობას (სტუდენტის საათობრივი დატვირთვა - ლექცია, სემინარი, დამოუკიდებელი სამუშაო საათები), კურსზე მიღების წინაპირობებს, მიზანს, სწავლის შედეგებს, სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, შეფასების სისტემას (ფორმებსა და ქულებს), კურსის ფარგლებში გასავლელი თემების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურას.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. 140 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები მოიცავს: (სავალდებულო სასწავლო კურსები - 120 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი.) ხოლო თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები 40 კრედიტისგან შედგება. (საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტი. საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი. თავისუფალი კრედიტები - 5 კრედიტი.)

პროგრამის ძირითად და თავისუფალ კურსებში კრედიტების განაწილება ლოგიკურია. შესაბამისად, ლოგიკურად არის გადანაწილებული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა კურსის შინაარსის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- სილაბუსები
- სამუშაო ჯგუფის ოქმები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა 2.1 სტანდარტში გააკეთა შემდეგი ანალიზი შემოქმედებით ტურთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ პროგრამაზე დაშვების მოცემულ ნაწილში წარმოდგენილი პირობა, რომლის თანახმადაც აპლიკანტი გადის შემოქმედებით ტურს, დებულება ბუნდოვანია, კერძოდ, ვინ არის კომისია, რა კომპეტენციის და კვალიფიკაციისაა თითოეული წევრი. ასევე, გაუგებარია შეფასების კრიტერიუმებში, რა მექანიზმებით ხდება გადახატვაში ორიგინალურობის და კონცეფციის შეფასება, რაში გამოიხატება ხელოვნებაზე მსჯელობა. ესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ “პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს ტრანსპარანტული, საჯარო და ხელმისაწვდომი, აპლიკანტის შემოქმედებითი უნარების გამოვლენაზე ორიენტირებული, კერძოდ, განისაზღვროს „შემოქმედებითი ტურის“ ჩატარების პროცედურები, კომისიის შერჩევის პრინციპი და კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები. აღწერა იყოს დეტალური და არა ბუნდოვანი.”

აღნიშნული რეკომენდაცია საბჭომ ზეპირ მოსმენაზე უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციიდან და დოკუმენტაციის შესწავლიდან გამომდინარე დააფორმირა, როგორც რჩევა “სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს ტრანსპარანტული, საჯარო და ხელმისაწვდომი, აპლიკანტის შემოქმედებითი უნარების გამოვლენაზე ორიენტირებული, კერძოდ, განისაზღვროს „შემოქმედებითი ტურის“ ჩატარების პროცედურები, კომისიის შერჩევის პრინციპი და კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები. აღწერა იყოს დეტალური და არა ბუნდოვანი.” უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და საჯაროდ განთავსდება პროგრამის აკრედიტაციის მიღებისთანავე. ამასთან, გამოყოფილია საკონტაქტო პირები აბიტურიენტების მიერ დამატებითი შეკითხვების არსებობის შემთხვევისთვის. რაც შეეხება „შემოქმედებითი ტურის“ ჩატარების პროცედურას, კომისიის წევრების შერჩევას და შეფასების კრიტერიუმებს, რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტით, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში, წარედგინებოდა ექსპერტთა ჯგუფს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შემოქმედებითი ტურის დებულება
- პროგრამა

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის და ინტერვიუების პარალელურად შეისწავლა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დოკუმენტაცია და შედეგად დაწესებულებას განესაზღვრა კონკრეტული რეკომენდაციები და რჩევები. საბჭომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები სრულად გაიზიარა.

შესწავლილი მასალიდან გამოიკვეთა, რომ ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისად პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია მსოფლიო ხელოვნების ძირითადი ასპექტების და განვითარების დინამიკის ცოდნა და გააზრება, ისტორიამდელი პერიოდიდან დღევანდელობამდე მხატვრული მიმდინარეობების და სტილების იდენტიფიცირების უნარი. პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო საგნების ნაწილში არ გვხვდება გრაფიკული დიზაინისთვის მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა მარკეტინგის საფუძვლები, ბრენდინგი, ლოგოს დიზაინი და ა.შ.

აღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე საბჭომ გასცა რეკომენდაცია, ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისად, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად დაემატოს და

გაძლიერდეს მსოფლიო ხელოვნების და თანამედროვე ხელოვნების საკითხების ამსახველი სასწავლო კურსები.

